

მედია ლლონტი

ინიციალები ქართულში ქართული პირის სახელების მართლწერისათვის

„სჯობს სახელისა მოხვეჭა
ყოველსა მოსახვეჭელსა“
შოთა რუსთაველი

რამდენად ბუნებრივია და შესაწყნარებელი ქართული ენისათვის სახელის (ან სახელისა და მამის სახელის) ინიციალებით აღნიშვნა?

ამ შეკითხვაზე პასუხის მოსაძიებლად აუცილებელია, გავიხსენოთ ქართულ ენობრივ სივრცეში არსებული ისტორიული და თანამედროვე სიტყვათმემოკლების წესების რაობა-რაგვარობა, მათი ფუნქციები და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამ წესების ქართულ ენაში დამკვიდრების მოტივი და მართებულობა.

პირების სახელით და სახელ-მამისსახელობით აღნიშვნა ქართულში:

არსებობს სახელით და სახელ-მამისსახელობით აღნიშვნის ორი ტიპი – **პირისადმი მიმართვა** და **პირის მოხსენიება**. მათგან პირველის უმთავრესი ფუნქციური კერა ზეპირმეტყველებაა, ხოლო მეორისა – წერიითი მეტყველება.

პირისადმი **მიმართვაც** და მისი **მოხსენიებაც** ისტორიულად ემსახურებოდა ინფორმაციის მიწოდებას ამ პირის წარმოშობის (გენეალოგიის) შესახებ, რაც ზოგადენობრივი მოვლენაა და გამოიხატება სახელზე მამის, პაპის ან ოჯახისთვის ცნობილი სხვა შორეული წინაპრების სახელების დართვით [კალაძე 1984: 309-311].

ამ ფუნქციით (პირის გენეალოგიის წარმოჩენით) ქართულში, როგორც არაერთ აღმოსავლურ და ევროპულ ენაში, გვარის დამკვიდრებამდე (XII-XIII სს-მდე) პირს **სახელ-მამისსახელობით** მოიხსენიებდნენ, მაგ.: ქართული სახელ-მამისსახელობითი **ვედემონ ჩხეტის ძე** იუწყებოდა, რომ ეს პიროვნება – **ვედემონი**, გახლდათ ძე, შვილი **ჩხეტისა** (მდრ.: აღმოსავლეთის მთის კილოებში ჩენილი სა-

კუთარი სახელები: **უთურგის გიორგი, ხოშაქის ტურა** და სხვა [კალაძე 1984: 309-312]), გვარის დამკვიდრების შემდეგ კი **ჩხეტი**-დან ჩამოყალიბდა ქართული გვარები: **ჩხეიძე** ← ***ჩხეისძე** ← ***ჩხეტისძე**, და **-იან** სუფიქსიანი **ჩხეტაიანი** ← **ჩხეტ+იან-ი** ← ***ჩხეტი+იან-ი**. ყოველივე ამას თვალსაჩინოდ გვიმოწმებს ჩვენამდე მოღწეულ ისტორიულ დოკუმენტაციაში ჩაწერილი გვარები: **ბედანაშვილი, ბედაშვილი, ბედელიძე, ბედენაშვილი, ბედიანა(ს)შვილი, ბედიანიძე, ბედი-აშვილი, ბედინაძე, ბედოშვილი**, რომლებიც მომდინარეობს **ბედ** ძირით წარმოებული საკუთარი სახელებიდან: **ბედა, ბედან, ბედენა, ბედა, ბედინა, ბედიანა** (XIV-XVII სს); შდრ., ქრონოლოგიურად უფრო ადრეული: „**აწრელისძე იაკობ** – მწიგნობარი, დამწერი თამარ მეფის სიგელისა შიომღვიმის მონასტრისადმი – 1195/1196 წ.“; „**გარაყანისძე ცოტნე** – მეფე დავით რუსუდანის ძის მეუღლემ მისგან იყიდა „მისგანაც ნასყიდი და ნასისხლი“ სოფელი ჯიქეფონი და შესწირა გელათის ხახულის ღმრთისმშობელს – 1260-1267 წწ.“ და სხვა მრავალი [პირთა ლექსიკონი 1991: 202; 494-498; 602].

სამართლიანადაა გამოთქმული თვალსაზრისი, რომ უცხოენოვანი ტრადიციისაგან განსხვავებით, **სახელ-მამისსახელობითი** ფორმები ქართულში, საზოგადოდ: „**ბუნებრივი არ უნდა ყოფილიყო არც ისტორიულად, არც კილოებით**“ – და რომ ეს ფორმები „**არც ერთ შემთხვევაში მიმართვისას არ გამოიყენებოდა**“ [კალაძე 1984: 309-310] (ხაზგასმა ყველგან ჩვენია – მ. ლ.).

ცირა კალაძე მიიჩნევს, რომ **სახელ-მამისსახელობით აღნიშვნის** ფორმები ქართულისათვის მხოლოდ იმდენადაა ბუნებრივი და გამართლებულიც, რამდენადაც ისინი „დღევანდელი სახელ-გვარული ერთეულების ფარდი იყო და პიროვნების გენეალოგიური დახასიათების ერთ-ერთ უმარტივეს ვარიანტს წარმოადგენდა“. ამასთან, მკვლევარი საგულისხმოდ დასძენს: „ამ სიმარტივეს ქართული ავლენს **პიროვნებისადმი ოდენ სახელით მიმართვის წესშიც**“ [კალაძე 1984: 310]. მკვლევარი გულისხმობს ქართულში ისტორიულად არსებულ **სახელ-მამისსახელობით მოხსენიებისა და ოდენ სახელით მიმართვის** პარალელიზმს – მათი გამოყენების სიმარტივის მხრივ.

ვფიქრობთ, **პირისადმი ოდენ სახელით მიმართვის** ზემოხსენებული ქართული საუკუნოვანი წესის დამკვიდრება (ნუ გეშინინ, ზაქარია! უფალო ილია, ბატონო დიმიტრი...) ასევე განაპირობა როგორც წმინდანთა, ისე პირად თუ საყოველთაო ლოცვებსა და აღაპის

წიგნებში გარდაცვლილთა **ოდენ სახელით მოხსენიების ქრისტიანულმა საყოველთაო საეკლესიო წესმა**, მაგ.: „დიდო მოწამეო გიორგი, მეოხ გუეყავ ჩუენ!“; „უფალო, შეიწყალე მონაჲ, ანუ მკვევალი, ღმრთისაჲ (**სახელი**)“ და მისთ., რამაც, თავის მხრივ, წარმოშვა და დააწესა **გამორჩეულ მამულიშვილთა ოდენ სახელით მოხსენიება** მადლიერი ერის მიერ (ნეტარი გრიგოლი, ღირსი გაბრიელი, შოთა, ილია ან ილია მართალი, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი...).

ყოველივე ამას გვიმოწმებს პირისადმი **მიმართვისა** და მისი **მოხსენიების** ქართული საუკუნოვანი ეტიკეტი, რომელშიც შემონახულია მიმართვისა და მოხსენიების ფორმები:

1. **სახელით** (ისიდორე, მართა, მიხეილ...);
2. **სახელ-მამისსახელობით** (ივანე ქავთარისი, საღირ კოლონკელის ძე, თორნიკე გიორგის ძე, ნინო დავითის ასული...);
3. **წოდებითი ბრუნვის ფორმის ნათესაობის აღმნიშვნელი არსებითი სახელებით** (ძმაო, დაო, შვილო, ბიძაშვილო...);
4. **საეკლესიო მიმართვის ფორმებით** (მამაო, დედაო, მეუფეო, უწმიდესო და უნეტარესო, თქუენო მაღალუსამდდელოესობაო(/ვ)...) [კალაძე 1984: 309-310].

წარმოდგენილი ნუსხიდან ჩანს, რომ **მიმართვაც და მოხსენიებაც** ისტორიულად ქართული ენობრივი სივრცისათვის ბუნებრივი იყო **ოდენ სახელით**, ხოლო **სახელ-მამისსახელობითი** ფორმა, მისი ზემოაღნიშნული გენეალოგიური ფუნქციით, საგანგებო მოთხოვნილებისამებრ გამოიყენებოდა, უმეტესწილად – წერით მეტყველებაში; დღემდეც ფრაგმენტულად მივმართავთ ნუსხებში, ოფიციალურ დოკუმენტაციაში და სხვა, ამასთან – **სახელისა და მამის სახელის სრულად წარმოდგენით და არა – მათი ინიციალებით!**

ასე რომ, **სახელ-მამისსახელობით მოხსენიება** ქართულში **ისტორიულად მიმართვისას არ გამოიყენებოდა** და მას არც ის სოციალური ან ასაკობრივ-ავტორიტეტული ფუნქცია ენიჭებოდა, რომელიც მამის სახელით, ასევე სახელ-მამისსახელობით მიმართვის **რუსულენოვანმა ფორმებმა** (Василий Иванович...) მოგვიანებით, მე-16-17 საუკუნეებში, შეიძინა.

საქართველო-რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის დამყარების შემდეგ, მე-18 სუკუნეიდან მე-20 საუკუნის დასასრულამდე, ქართულ ზეპირ მეტყველებასა და ოროგინალურსა თუ თარგმნილ მწერლობაში საფუძვლიანად მოი-

კიდა ფეხი **რუსულენოვანი მიმართვის** ფორმებმა: „ვასილ ივანიჩ“, „ანა ილინიშნა“, „ზაზაევიჩ“; ასევე – ქართული ისტორიული მოდელის მისადაგებით **პირის მოხსენიებისა** და **მიმართვის** გაქართულეზულმა ამ ტიპის ფორმებმა: „თორნიკე გიორგის ძე – თორნიკე გიორგის ძევი!“, „ნინო დავითის ასული – ნინო დავითის ასულო!“

გასული საუკუნის 60-70-იანი წლებიდან მოკიდებული ქართულ ზეპირმეტყველებაში ესოდენ გავრცელებული „პეტროვიჩ“, „ასტანტინოვიჩ“, „ალექსეევნა“ ტიპის მიმართვის ფორმები უკვე ღიმილს თუ იწვევდა ან დაბალი ენობრივი კულტურის გამოვლინებად მიიჩნეოდა. გაქართულებული „დავით გიორგის ძევი“ ტიპის მიმართვებს კი მკვეთრად გამოხატული პრესტიჟული თუ სუბორდინაციული ფუნქციის ხელოვნური ანაბეჭდიდა შემორჩა, რაც იმის დასტურია, რომ ამგვარი მიმართვები ქართული ენის „ბუნებისა და ტრადიციების საწინააღმდეგოდ იხვეჭდა ენაში დამკვიდრების უფლებას“ [კალაძე 1984: 318].

სწორედ ამ ტიპის რუსულენოვანი მიმართვის, უწინარესად – **მოხსენიების ფორმებს** შემოაჰყვა და დაინერგა ქართულ წერით მეტყველებაში სახელისა და მამის სახელის **ინიციალებით** აღნიშვნა: **შ.** რუსთაველი, **ილ.** ჭავჭავაძე, **აკ.** წერეთელი...

ინიციალები ქართულში:

სიტყვათშემოკლების ერთ-ერთი წესის აღმნიშვნელი ტერმინი **ინიციალები** მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან **Initialis** (← ლათ. Initium „დასაწყისი“) და ნიშნავს „დასაწყისისა“.

ლინგვისტიკური ტერმინით **ინიციალები** ასევე აღნიშნება არაფლექსიური ჩინური ენის უმცირესი მარცვლოვანი ფონეტიკური სეგმენტის – მარცვლის თავკიდური თანხმოვანი (ამავე მარცვლის დანარჩენი ნაწილი კი **ფინალია**). უძველეს ინდოევროპულ და მცირე აზიის ენებში **ინიციალებითვე** აღნიშნება უმახვილო ან სუსტ-მახვილიანი ნაწილაკის ის საწყისი კომპლექსი, რომელიც მარტივ წინადადებაში ამ ნაწილაკს მოდევნებულ წევრს ერწყმის [ენციკლოპედია 1990: 79, 225, 579-580].

სალექსიკონო განმარტებით, **ინიციალებს**, ვითარცა სიტყვათშემოკლების წესს, ორი დანიშნულება აქვს:

1. **პირის სახელთა შემოკლება** – როგორც სახელის (ასევე სახელისა და გვარის), ისე სახელისა და მამის სახელის პირველი ასო-

ებით გამოხატვა, ანუ – პირის სახელთა შემოკლებულად ჩაწერა ერთი თავკიდური ასონიშნით ან ორი-სამი საწყისი, პირველ თანხონამდე შემდგარი მარცვლით, მაგ.: **დ.** გურამიშვილი, **აღ.** ცაგარელი, **ივ.** ჯავახიშვილი, **არნ.** ჩიქობავა, **ს.-ს.** ორბელიანი, **ა. ს.** პუშკინი...

2. **ტექსტის გამშვენება** – ნაბეჭდი პროდუქციის ნაწილის, თავების სათაურებისა და აბზაცების საწყის ასონიშანთა უფრო დიდი ზომით ან **მატერულად გამოხატვა** [უცხო სიტყვათა ლექსიკონი 1989; ქეგლი IV: 1955].

მეორე დანიშნულებასთან, ანუ მეორე ტიპის **ინიციალებთან** დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ ჩვენს ეროვნულ საგანძურს ამშვენებს ქართული ანბანის სამივე სახეობის (მრგლოვანის, ნუსხა-ხუცურის, მხედრულის) მაღალმატერულად შესრულებული და უზადლო ორნამენტებით გამდიდრებული **საზედაო**, ანუ **საზენაო** (ანტონ I კათალიკოსი) **ასოები**, რომლებითაც, V საუკუნიდან მოკიდებული, საუკუნეების განმავლობაში ამკობდნენ ხელნაწერებსა თუ ნაბეჭდი ლიტერატურას გადაწერისა და ბეჭდვის დიდოსტატობით გამორჩეული ჩვენი წინაპრები [საუბრები 2014: 116, 118, 123].

ძველი ქართული დამწერლობისა და მწერლობის ძეგლებში დაქარაგმების წესით წარმოდგენილია **საზედაო ასოთა** გარკვეული ნაწილი, რომელთაგან ჩვენს ყურადღებას იქცევს **პირის სახელთა დაქარაგმება**.

დაქარაგმება (ქარაგმა) ქართულში:

სიტყვათშემოკლების მეორე წესია ძველ ქართულ ეპიგრაფიკასა და საეკლესიო ლიტერატურაში დამკვიდრებული **დაქარაგმება**, რომლის პირობითი გრაფიკული ნიშნის აღმნიშვნელი ტერმინი **ქარაგმა** ბერძნული წარმოშობისაა (**χαράγμα** „ნაკვალები; კალმის მონასმი; შუბლის ნაოჭი“). **ქარაგმა** ქართული სიტყვის ზემოთ დაისმოდდა დახრილი ხაზით, წარწერებში – უმეტესწილად ვერტიკალური ხაზით, ხელნაწერებში კი – უფრო კლავნილი ხაზით [ქართული ენა 2008: 494; ჭანკიევი 2014: 113].

ძნელად მოსაძიებელი და ძვირად ღირებული საწერი მასალის ეკონომიის მიზნით შემოკლება-ქარაგმები მეტ-ნაკლებად გვხვდება თითქმის ყველა ქართულ ხელნაწერში [ჭუმბურიძე 1983: 28; სარჯველაძე 1997: 375; ქართული ენა 2008: 494]. V-X საუკუნეების ძველ ქართულ ძეგლებში დაქარაგმებულია თითქმის ყველა მეტყველების

ნაწილი, მათ შორის – ასონიშნებით გამოსახული რიცხვითი სახელები (ა=1; ო~ზ=12...) [ჭანკიევი 2014: 116; სარჯველაძე 1997: 375].

საკუთრივ **დაქარაგმება** IX საუკუნის შემდგომი ხანის ქართულ წერილობით ძეგლებში უაღრესად ნაყოფიერად გამოიყენებოდა, ტერმინი **ქარაგმა** კი პირველად მოიხსენიება მიქაელ მოდრეკილის ჰიმნოგრაფიულ კრებულში „იადგარი“ (X ს. – ნუსხური ხელნაწერი **S-425**). ც. ჭანკიევის მითითებით, ეს ტერმინი სხვა ხელნაწერებში სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონამდე არ დასტურდება, თუმცა მიქაელ მოდრეკილის ანდერძ-მინაწერში მოიპოვება საგანგებო მითითება იმის შესახებ, რომ მისი გალობანი დაიწერა „თვნიერ ქარაგმითა“, ანუ სიტყვათშემოკლების გარეშე. მამასადაძამე, ქართულ ენობრივ სივრცეში დაქარაგმების წესი IX-X საუკუნეებამდე უნდა არსებულიყო [ჭანკიევი 2014: 113. 116].

სულხან-საბა ორბელიანი **ქარაგმას** ლაკონიურად განგვიმართავს:

„**ქარაგმა** – ასონაკლების ნიშანი **ZAB**; ასონაკლებობის ნიშანი **Cab**; ნაკლების ასოს ნიშანი **Cq**; განუმარტავია **DE**“. ამასთან, ბერძნ. **აპოსტროფს (apostrophos** „სტრიქონი“) იგი განმარტავს, ვითარცა ერთგვარ „შემკვერელ ქარაგმას – (‘)“ [სულხან-საბა, **ქარაგმისა და აპოსტროფის** ქვეშ; ჭანკიევი 2014: 116].

ნამრომში „ლექსიკონი ქართული“ ქართველმა ლექსიკოგრაფმა არაერთ დაქარაგმებულ სიტყვას მიუჩინა ადგილი: „**ო~ი** ქარაგმით ითქმის უ ფ ა ლ ი“; „**ქ~ე** – ქარაგმით იტყვის ქრისტე“, „**რ~ა** – რ ა თ ა ქარაგმით“, „**გ~ა** – ვ ი თ ა რ ც ა ქარაგმით ესრეთ ითქმის“, „**ფ~დ** – ქარაგმით ფ რ ი ა დ, რიცხუში ხ უ თ ა ს ო თ ხ ი“ და სხვა.

მეტად საგულისხმოა დაქარაგმებული სიტყვა **ღმერთის** საბასეული განმარტება:

„**ღ~ი** – ქარაგმით ითქმის **ღ მ ე რ თ ი**. უკეთუ დამზადებელსა ღმერთსა ქარაგმა დაუსვა, ზედეთ ჳამს დასმა, ხოლო ცრუსა და ამოსა ღმერთსა კერპთასა – ქვეშეთ ჳამს დასმა ქარაგმისა, რათა გაირჩეოდეს: **ღ~ი** – ჩვენი, **ღ~ო** – კერპი“ (სულხან-საბა).

დავით ჩუბინაშვილი **ქარაგმის** საკმაოდ ვრცელ სალექსიკონო განმარტებას წარმოგვიდგენს:

„**ქარაგმა** – (ბერძნ.), ს. ნაკლებთა ასოთა ნიშანი ლექსთა (სიტყვათა – მ. ლ.) ზედა; ქართულს წერილში იხმარებიან სამგვარნი ქარაგმანი: საუფლოთა ლექსთა ზედა, ამას ეწოდების **საუფლო**; სხვათა

ლექსთა ზედა ხუცურად დაწერილთა, რომელსა ეწოდების **სასამთავრულო**, და **საზოგადოდ ხმარებული** სიტყვათა ზედა დაწერილთა მხედრულად; титло; знак выпущенных букв в слове. **ქარაგიანი**, ზედ. ქარაგმის მექონი; имеющий титло“ [დ. ჩუბინაშვილი 1984] (ხაზგასმა ჩვენია – მ. ლ.).

ამ განმარტებაში ყურადღებას იქცევს ფორმა **ქარაგიანი**, ნაცვლად **ქარაგმიანისა** (თუკი, რა თქმა უნდა, აქ კორექტურულ ლაფსუსთან არ გვაქვს საქმე), ასევე ის, რომ ლექსიკოგრაფი არ გვაწვდის საკუთრივ **დაქარაგმების** განმარტებას. არც **ქარაგმიანი** და არც **დაქარაგმება** სულხან-საბას ლექსიკონში არ დასტურდება.

დაქარაგმების განმარტებისას დავით ჩუბინაშვილი, როგორც ჩანს, ხელმძღვანელობდა ანტონ I კათალიკოსის „ქართული ღრამმატიკის“ პირველი, 1753 წლის, რედაქციით, რომელშიც კათალიკოსმა გამოყო ოთხგვარი ქარაგმა, შდრ.:

1. **საუფლო**, ანუ წმინდა საეკლესიო: **ო[~]ი** = უფალი, **ი[~]უ** = იესუ, **ქ[~]ე** = ქრისტე, **ღ[~]ი** = ღმერთი, **ღ[~]ის-მშობ[~]ლი** = ღმრთისმშობელი, **წ[~]ი** = წმიდაა; **ყდ[~]წაი** = ყოვლად-წმიდაა...;

2. **სამთავრულო** – როდესაც სიტყვა შემოკლებულია მხოლოდ პირველი ასო-ნიშნით, ჩვეულებრივ, თანხმოვნით: **რ[~]** = რამეთუ, **ხ[~]** = ხოლო...

3. **საყოვლადო** – საზოგადო შინაარსის შემცველი სიტყვები, ანუ ყველა მეტყველების ნაწილი, რომლებიც შემოკლებულია ერთ-ზე მეტი, ჩვეულებრივ, ფუძისეული თავკიდურ-ბოლოკიდური ასო-ნიშნებით: **ა[~]დ** = არამედ, **კ[~]დ** = კუალად, **გ[~]ა** = ვითარცა, **შწყ[~]ე** = შეიწყალე...

4. **საკმოანო** – როდესაც მხოლოდ ფუძისეული ხმოვნითაა შემოკლებული: **ჩ[~]ი** = ჩემი...

„ქართული ღრამმატიკის“ მეორე რედაქციაში (1760 წ.) ანტონ I-მა წარმოადგინა თემატურად სახეცვლილი კლასიფიკაცია – ორგვარი დაქარაგმების შედგენილობით:

1. **საყოვლადო**, რომელშიც გააერთიანა თავდაპირველი კლასიფიკაციის მე-2 („სამთავრულო“), მე-3 („საყოვლადო“) და მე-4 („საკმოანო“) სახეობანი;

2. **უადრესობითი**, რომელიც, არსობრივად იგივეა, რაც „საუფლო“ პირველი რედაქციიდან, და რომელშიც გამოცალკევებულია სამი ქვეტიპი: ა) საღმრთო სახელები (**ო[~]ი** = უფალი, **ღ[~]ი** = ღმერთი,

ო[~]უ = იესუ, ქ[~]ე = ქრისტე...), ბ) წმინდა სახელები (ჯ[~]ი = ჯუარი, ღ[~]ის-მზ[~]ლი = ღმრთისმშობელი, სხ[~]ა = სახარება...); გ) საპატრიო სახელები (ან[~]სი = ანგელოსი, ყდ[~]წამ = ყვლად-წმიდად, მგ[~]ქლი = მოციქული...) [ქართული ენა 2008: 494; ჭუმბურიძე 1983: 27-28].

საზოგადოდ, ძველქართული დაქარაგმების წესთაგან ყველაზე გავრცელებული სახეობაა **შუაშეკვეცილობის** წესი და რიცხვით სახელთა დაქარაგმება. ნაკლებად გამოიყენებოდა **ბოლოშეკვეცილობისა**, და უფრო იშვიათად – **მხოლოასოიანი** (ამ უკანასკნელიდან შემორჩა მხოლოდ ორი კავშირი: რ[~] = რამეთუ და ხ[~] = ხოლო) [იქვე; სარჯველაძე 1997: 375].

ქართული პირის სახელთა აღნიშვნა ინიციალებით და ქარაგმით:

როგორც ვხედავთ, ქართულში ისტორიულად უადრესად შეზღუდული იყო პირის სახელთა აღნიშვნა **დაქარაგმებით**, ხოლო სახელისა და სახელ-მამისსახელებისა – **ინიციალებით**, კერძოდ:

ერთი მხრივ, **დაქარაგმების** ოდენ ისტორიული წესი საზოგადოდ სახელებზე ვრცელდებოდა, პირის სახელთაგან კი ეს წესი მხოლოდ „საუფლო“, „უადრესობით“, ანუ საღმრთო და რამდენიმე ყველაზე გავრცელებული საეკლესიო წმინდანთა სახელის შემოკლებას ითვალისწინებდა, მაგალითად: **ო[~]უ** = იესუ, **ქ[~]ე** = ქრისტე, **მქ[~]ლ** = მიქაელ, **გბ[~]რ[~]ლ** = გაბრიელ, **გ[~]ი** = გიორგი, **გრ[~]გლი** = გრიგოლი, **დ[~]თ** = დავით, **მ[~]თე** = მათე, **მ[~]რმ** = მარიამ, **პლ[~]ე** = პავლე (ეს წესი დღემდე მოქმედებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ლიტურგიკულ და სხვა საეკლესიო ჟანრის ლიტურატურაში). მაშასადამე, ისტორიულად მხოლოდ **ქართული საზედაო ასოები** შეესატყვისებოდა **ინიციალებს**, კერძოდ, მის **მეორე ფუნქციას** (ნაბეჭდი პროდუქციის ნაწილის, თავის სათაურებისა და აზნაგების საწყის ასონიშანთა უფრო დიდი ზომით ან მხატვრულად გამოხატვას).

მეორე მხრივ, **ინიციალები**, მისი ზემოხსენებული ორ-სამსაუკუნოვანი **პირველი ფუნქციით** – სახელისა და სახელ-მამისსახელის პირველი ასოებით გამოხატვით – ქართულში ასევე ნაკლებპროდუქტიული იყო და არაბუნებრივიც.

ვფიქრობთ, უკვე „ჟამი არს“ ქართული პირის სახელთა ინიციალებით აღნიშვნის მოწესრიგებისა. უკანასკნელი 25-წლიანი ისტორიულ-პოლიტიკური პერიპეტიებიდან გამომდინარე, ქართულმა ენამ,

შეიძლება ითქვას, თავი დააღწია მიმართვის ზემოაღნიშნულ რუსულ-ლენოვან კალკებს (ჯუმბერ გიორგიევიჩი, ირინა მეველუდოვნა...).

ამისგან განსხვავებით, ნაირგვარ გამოცემებსა თუ პრესაში, მეტადრე ოფიციალურ დოკუმენტებში, ყოველ ნაბიჯზე გვხვდება ქართული სახელების **ინიციალებით აღნიშვნა-ჩაწერის** შემთხვევები: **ა.** ლომიძე, **ბ.** მიმინოშვილი, **გ.** გაგნიძე... რებუსივით ჩაწერილი ეს ინიციალი გამოცანას გვთავაზობს: მაინც ვინ ბრძანდება ხსენებული **ა.** (ლომიძე), **ბ.** (მიმინოშვილი) ან **გ.** (გაგნიძე)? იგივე ინიციალი ბუნდოვანებას, გაუგებრობასა თუ სხვა ლაფსუსსაც იწვევს (ვთქვათ, როდესაც ერთი გვარის ორი პირის სახელი ერთი და იმავე თავკიდური ასონიმნით იწყება).

ამასთან ერთად, სახელოვან მამულიშვილთა და კორიფეთა სახელების ინიციალებით აღნიშვნისას ილახება პიროვნების მოხსენიების ქართული საუკუნოვანი ეტიკეტისთვის ნიშანდობლივი კრძალულება, ქართულენოვანი ტრადიცია კი გვკარნახობს, რომ სახელების ამგვარი შეკვეცა-შემოკლებით ხელთ შეგვრჩება ნაცვლად კრძალვით წარმოსათქმელი:

შოთა რუსთაველისა – **შ.** რუსთაველი,

სულხან-საბა ორბელიანისა – **ს. ს.** ორბელიანი,

დავით გურამიშვილისა – **დ.** გურამიშვილი,

აკაკი წერეთლისა – **აკ.** წერეთელი,

ნიკოლოზ ბარათაშვილისა – **ნ.** ბარათაშვილი,

ივანე ჯავახიშვილისა – **ივ.** ჯავახიშვილი...

წმიდა **ილია** მართლისა (ჭავჭავაძისა) – **ილ.** ჭავჭავაძე,

ნეტარი **გრიგოლი** ხანძთელისა – **გრ.** ხანძთელი,

წმიდა მოწამე **დიმიტრი** თავდადებულისა – **დიმ.** თავდადებული და მისთ.

საეკლესიო წმინდანთა სახელებთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ ფუნქციურად ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, **ინიციალები**, ანუ პირის სახელთა ორ-სამსაუკუნოვანი სიტყვათშემოკლების რუსულენოვანი წესი, რომელიც არაბუნებრივია და შეუწყნარებელიც ქართული ენისათვის და საკუთრივ სიტყვათშემოკლებას ემსახურება, ხოლო მეორე მხრივ – მრავალსაუკუნოვანი საეკლესიო **ქარაგმა**, კერძოდ, **საუფლო**, **უადრესობით** სახელთა **და-ქარაგმება**, რაც ძნელად მოსაპოვებელი და ძვირად ღირებული საწერი მასალის ზემოხსენებულმა ეკონომიამ განაპირობა.

ქართულ წერით მეტყველებაში პირის სახელთა **ინიციალებით** ჩაწერის წინამდებარე ანალიზის ცდა გვარწმუნებს, რომ ოდენ სახელით მოხსენიების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე ქართული ენისათვის ასევე არაბუნებრივია, და შეუწყნარებელიც, ქართული პირის სახელების (და, მით უფრო, სახელ-მამისსახელების) **ინიციალებით** აღნიშვნა.

თუმცა, როგორც ყველა წესს, პირის სახელთა ინიციალებსაც გამონაკლისის სახით დღემდე აქვს კონკრეტული ფუნქცია, რომელიც ხშირად გამოიყენება ოფიციალურ დოკუმენტაციაში, სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციულ ინფორმაციაში, ასევე სხვადასხვა დარგისა თუ ჟანრის ორიგინალურ და, რასაკვირველია, თარგმნილ ლიტერატურაში, უფრო კი – დამოწმებული ავტორების გვარ-სახელთა ნუსხებში.

დაბოლოს:

„სჯობს **სახელისა** მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!...“ სახელოვანმა ქართველმა პოეტმა და მოაზროვნემ, „**სახელის მოხვეჭის**“ ზნეკეთილობასთან ერთად, საკუთრივ **სახელის** – პიროვნების **სახელდების** რჯულისმიერად, ქართული ტრადიციისამებრ აღსრულების წესისკენაც წარმართა ჩვენი ყურადღება.

ლიტერატურა

ენციკლოპედია 1990 – Лингвистический Энциклопедический Словарь, «Советская Энциклопедия», Москва.

კალამე 1984 – ცირა კალამე, სახელ-მამისსახელობით მიმართვის შესახებ ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეექვსე, თბილისი.

პირთა ლექსიკონი 1991 – პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, I, თბილისი.

სარჯველაძე 1997 – ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბილისი.

საუბრები 2014 – ლიტერატურული საუბრები ახალგაზრდობისათვის, თბილისი.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი 1989 – შეადგინა მიხეილ ჭაბაშვილმა, მესამე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი.

ქართული ენა 2008 – ენციკლოპედია ქართული ენა, შემდგენელი იზაბელა ქობალავა, თბილისი.

ქეგლი IV 1955 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი IV, თბილისი.

ჩუბინაშვილი 1984 – დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

ჭანკიევი 2014 – ც. ჭანკიევი, დაქარაგმების წესები ძველ ქართულ ხელნაწერებში, V- X სს. პალეოგრაფიული ძიებანი, ტ. I, 1965; ტ. II, 1969; ასევე კრებულში: „ლიტერატურული საუბრები ახალგაზრდობისათვის“, თბილისი.

ჭუმბურიძე 1983 – ზურაბ ჭუმბურიძე, ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ, თბილისი.

Medea Ghlonti

Initials in Georgian On Spelling Georgian Personal Names

Summary

The paper analyzes the nature and the functions of the Georgian historical and modern rules of word clipping, in particular, Georgian centuries-old etiquettes of addressing and mentioning. We discuss Georgianized Russian forms such as *vasil ivanič* – *vasili ivanes ze* and the motivation of writing personal names with initials in the Georgian language.

We also raise a question of the propriety of writing Georgian personal names with initials, namely, the interrelation of Georgian historical model of mentioning someone's name and the initials of personal names as well as the specific functionality of initials in the Georgian written speech.